ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია



ქ. თბილისში, ვაკის პარკის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა

კონკურსის საშუალებით

საკონკურსო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი

სარჩევი

1. ინსტრუქცია კონკურსში მონაწილეთათვის 3
2. ტექნიკური მოთხოვნები 4
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი 11
4. დანართი N1 პრეტენდენტის გამოცდილება 16
5. დანართი N2 პერსონალის გამოცდილება 17
6. დანართი N3 (საბანკო გარანტიის ფორმა) 18

1. ინსტრუქცია კონკურსში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა დაპირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანების შესაბამისად.

1.2 კონკურსთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.

1.4 შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოსადგენი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება საკონკურსო წინადადების შესაბამისად.

1.6 საკონკურსო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს დღგ-ს გარეშე. საკონკურსო წინადადების ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

1.7 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული საკონკურსო წინადადება.

1.8 **საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის – „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით, ან/და საკონკურსო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7, მე–15 სართული. საკონტაქტო პირი: ბ-ნი ირაკლი მერებაშვილი, ტელ: +995322 378 671. ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით საკონტაქტო პირი ქ-ნი ეკა ბეჟაშვილი, ტელეფონის ნომერი: 577 74 49 75.**

2. ტექნიკური მოთხოვნები

2.1. ტექნიკური დავალება და მოთხოვნები:

ტერიტორიის განვითარების ზოგადი მოთხოვნები და რეკომენდაციები:

ზოგადი აღწერა:

პროექტის ძირითადი მიზანია, ვაკის პარკისთვის შეიქმნას რეაბილიტაციის პროექტი მნიშვნელოვანი ჩარევების და გადაკეთებების გარეშე. გასათვალისწინებელია პარკის ისტორიული იერსახის შენარჩუნება. პრიორიტეტულია კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შექმნა ბავშვებისთვის, ახალგაზრდებისთვის, ხანში შესული ადამიანებისთვის შესაბამისი ზონების მოწყობით.

სასურველია პარკის ტერიტორია დაიყოს შემდეგ ზონებად:

ცენტრალური სივრცე;

შადრევნები;

ამფითეატრი;

2 სპორტული სივრცე;

3 საბავშვო სივრცე;

სამაგიდო თამაშების სივრცე;

პავილიონი ან/ და საზოგადოებრივი სივრცე (არსებული შენობების გათვალისწინებით);

ძაღლების სასეირნო სივრცე;

1 საპიკნიკე სივრცე;

ძირითად ბილიკებზე მოეწყოს ღამის განათება;

მოეწყოს დამატებითი ბილიკები და განათება საბავშვო და სპორტულ მოედნებთან;

პარკის მთელ ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფები და ამკრძალავი ნიშნები.

საჭიროების შესაბამისად მოეწყოს სასმელი წყლის სოკოები.

პარკის სრულად უნდა იყოს ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნას (მიშველაძის ქუჩისა და კუს ტბის მხრიდან მისასვლელები) არქიტექტურული გადაწყვეტებით პარკის მისადგომების დაცვა.

პარკში უნდა განთავსდეს თანამდროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი ფასიანი (მომსახურე პერსონალის გარეშე) ეკო/ბიო რეტერატი. განისაზღვროს მოდელი და ლოკაცია.

საპროექტო გადაწყვეტილებებმა უნდა უზრუნველყონ მოვლა-პატრონობის ხარჯების ოპტიმალურობა;

გამოყენებული სამშენებლო მასალები და ტექნოლოგიები საშუალებას უნდა იძლეოდნენ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მათი მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების (რემონტის) ხარჯები;

ძირითადი მოსაპირკეთებელი მასალების და ნაკეთობების შერჩევა უნდა განხორციელდეს დამკვეთთან შეთანხმების საფუძველზე;

მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი გარემოზე ზემოქმედება; გამოყენებული მასალები უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა;

უნდა განხორციელდეს სარწყავი წყლის ალტერნატიული წყაროების მოძიება და არსებობის შემთხვევაში გამოყენება პროექტში.

პროექტირება არ ითვალისწინებს ცენტრალურ შესასვლელს (კიბეების ჩათვლით).

შესაძლებელია კონცეფციაში მოიაზრებოდეს დეკორატიული მცენარეებით და ხის კონსტრუქციებით შექმნილი ხეივანი.

პროექტის შეთანხმება უნდა მოხდეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

ტექნიკური დავალება

I ეტაპი - საძიებო სამუშაოები, საპროექტო ტერიტორიის კვლევა, კონცეფციის დამუშავება და ესკიზური პროექტის წარდგენა:

- **არსებული სიტუაციის დეტალური აღწერა** - საპროექტო ობიექტის საერთო ხედები, ფასადები, ინტერიერი, არქიტექტურულ მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ელემენტები, საერთო და ლოკალური დაზიანების ამსახველი ფოტომასალა, (მაღალი ხარისხის და რეზოლუციის ფოტომასალა);

- საკადასტრო დოკუმენტაცია (საპროექტო და არსებული მდგომარეობის ტოპო გეგმაზე დატანილი იქნას რეგისტრირებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის გეგმა საკადასტრო საზღვრების და კოდების მითითებით);
- ტერიტორიის ტოპო-გეოდეზიური კვლევა;
- გარკვეულ მონაკვეთებზე (შენობა-ნაგებობების შემთხვევაში), საჭიროებისამებრ ტერიტორიის გეოლოგიური შესწავლა;
- ინფორმაცია არსებული კომუნიკაციების თაობაზე;
- უნდა მომზადდეს ტერიტორიაზე არსებული ამორტიზებული ნაგებობების ნუსხა;
- **პროექტის ტექნიკური და ეკონომიკური დასაბუთება,** ყველა შესაძლო ალტერნატივის მიმოხილვის ჩათვლით, პრობლემებისა და რისკების ანალიზი, პროექტის პარამეტრებისა და მასშტაბების, განხორციელების სავარაუდო მეთოდისა და გრაფიკის განსაზღვრით. პირველადი ინფორმაცია ობიექტების სასმელი წყლითა და ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფად, საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელებთან მიერთებებთან დაკავშირებით;
- **სახელოვნებათმცოდნეო კვლევა**, რომელიც გულისხმობს საარქივო ბიბლიოგრაფიულ კვლევას, ძეგლის კვლევას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას;
- **დენდროლოგიური კვლევა** - არსებული მცენარეების მდგომარეობის შესწავლა (ფიტოსანიტარული კვლევა), სტატუსის მინიჭება და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა.
- არსებული შადრევნის მდგომარეობის შესწავლა და კონცეფციის სახით არქიტექტურული გადაწყვეტით რეაბილიტაცია/განვითარება.
- პარკის გენერალური გეგმა (ფუნქციური ზონირებით);

- პროექტის კონცეფცია განმარტებითი ბარათით და არქიტექტურული გადაწყვეტებით (ვიზუალიზაცია რენდერები მინ. 12 ც.)

II ეტაპი - არქიტექტურული პროექტირება და ესკიზური დენდროლოგიური პროექტი:

- არქიტექტურული ნაწილი (დეტალური ნახაზები);
- დემონტაჟის პროექტი;
- საინჟინრო კომუნიკაციები
  - წყალმომარაგება;
  - კანალიზაცია;
  - ელ. გაყვანილობა;
  - სანიაღვრე, სადრენაჟე სისტემები
- სპეციფიკაციების ნაწილი;
- დენდროლოგიური კონცეფცია

III ეტაპი - საბოლოო დეტალური პროექტის დამუშავება:

სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის და დენდროლოგიური პროექტის მომზადება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება სამშენებლო კომპანიის

შესარჩევი ტენდერის ჩატარება და სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების განხორციელება. გარდა ამისა, წარმოსადგენია სრული საპროექტო დოკუმენტაციია.

არქიტექტურული ნაწილი:

- განმარტებითი ბარათი;
- სიტუაციური (მ1:2000) და გენერალური გეგმები (მ 1:1000); თითოეული თარგისთვის 1:500 მასშტაბში;
- ვერტიკალური გეგმარება;
- არქიტექტურული სამუშაო ნახაზები (გეგმები, ჭრილები, ფასადები, განშლები, დეტალები, კვანძები (მ. 1:100, 1:50, 1:25);
- მოსაპირკეთებელი, კეთილმოწყობის სამუშაოების უწყისები, იატაკების, ჭერების და კარ-ფანჯრების სპეციფიკაციები;
- არქიტექტურული მცირე ფორმების დეტალური ნახაზები - ჩამოსაჯდომი სკამი, საჩრდილობელი, ურნა, დეკორატიული ელექტრო ბოძი, წყლის სოკო და ა.შ (საჭიროების შესაბამისად).

კონსტრუქციული ნაწილი:

- განმარტებითი ბარათი;
- კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები - სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები (მ. 1:100, 1:50, 1:25)

საინჟინრო ნაწილი:

- განმარტებითი ბარათი;
- ელ. ქსელი, კანალიზაცია, წყალმომარაგება, სანიაღვრე, სადრენაჟე - სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები (მ. 1:200; 1:100, 1:50)

დემონტაჟის პროექტი:

- განმარტებითი ბარათი;
- გეგმები, ფასადები, სპეციფიკაცია, გრაფიკი

დენდროლოგიური პროექტი:

- განმარტებითი ბარათი;
- (ლანდშაფტის დიზაინის მომზადება აღნიშნული ტერიტორიის ვიზუალური და კლიმატური ფაქტორების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში არსებული მცენარეების გადარგვით);
- გენ-გეგმა, სპეციფიკაცია;

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის

- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის განმარტებითი ბარათი, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობის, ენერგო, მატერიალურ და შრომით რესურსებზე, სასაწყობო ფართებზე მოთხოვნილების შესახებ. განმარტებით ბარათში მოყვანილი იქნება აგრეთვე აუცილებელი უსაფრთხოების ტექნიკისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებანი.
- სამშენებლო გენერალური გეგმა დროებითი შენობა-ნაგებობების (ადმინისტრაციული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების დროებითი შენობები, დროებითი დახურული საწყობები და ღია სასაწყობო მოედნები, დროებითი გზების, ტექნიკის სამანევრო მოედნები, დროებითი ელექტრო და წყალსადენის ქსელები, ტერიტორიის განათება და სხვ. ჩვენებით.
- ობიექტის მშენებლობის კალენდარული და ფინანსური გრაფიკი

სახარჯთაღრიცხვო ნაწილი:

- სახარჯთაღრიცხვო ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს სამშენებლო ობიექტის სატიტულო სიას, გამოყენებული დოკუმენტების ჩამონათვალს და ინფორმაციას დანარიცხების გაანგარიშების წესის შესახებ;
- ლოკალური ხარჯთაღრიცხვები შესრულებული გამარტივებული და რესურსული მეთოდით;
- მშენებლობის კრებსითი ხარჯთაღრიცხვა.

ტექნიკური სპეციფიკაციები:

ცალკე უნდა დაერთოს პროექტს და უნდა მოიცავდეს სამშენებლო ტენდერში მონაწილეთათვის/კონტრაქტორისათვის ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობა-დანადგარებისათვის, სამუშაოთა შესრულების/გამოცდის მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისთვის.

2.2 საკონკურსო წინადადების შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წონები:

2.2.1 ხარისხის ჯამური შეფასების ხვედრითი წონა შეადგენს - 0,8.

საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრითი წონა შეადგენს - 0,2.

2.2.2 მოთხოვნები რომლებსაც უპირობოდ უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი და რომელთა დაუკმაყოფილებლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას:

- პრეტენდენტს 2015 წლის 01 იანვრიდან უნდა გააჩნდეს არანაკლებ 300 000 ლარის ღირებულების საერთო სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების და სივრცითი დაგეგმარების მომსახურების, მათ შორის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პროექტირების გამოცდილება, რომელიც ინფორმაციის სახით მოცემული უნდა იყოს დანართი N1–ით გათვალისწინებულ ცხრილში (წარმოდგენილ უნდა იქნას დამადასტურებელი დოკუმენტაცია – ხელშეკრულებ(ები)ა, ამ ხელშეკრულებ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (მიღება-ჩაბარების აქტი ან სხვა). პრეტენდენტის მიერ მოთხოვნის შესაბამისად ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საპროექტო მომსახურების გამოცდილების დასადასტურებლად წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს საპროექტო ობიექტის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, გაცემული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ (საპროექტო ობიექტის უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარეობის შემთხვევაში, შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი). აგრეთვე, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს იმ დამკვეთ(ებ)ის მიერ გაცემული არანაკლებ 2 პროექტის სარეკომენდაციო წერილ(ებ)ი შესრულებული პროექტების დამადასტურებელ ვიზუალურ მასალასთან ერთად, რომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით და შესაბამისი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციით (მოთხოვნის შესაბამისად გამოცდილების დასადასტურებლად წარმოდგენილი) დასტურდება ზემოთაღნიშნული გაწეული მომსახურების გამოცდილება.
- პრეტენდენტს 2015-2017 წლების განმავლობაში უნდა გააჩნდეს უწყვეტი გამოცდილება პროექტირების სფეროში. უწყვეტი გამოცდილება გულისხმობს იმას, რომ კონკურსანტს ამ პერიოდის ყველა წელს უნდა ჰქონდეს განხორციელებული საპროექტო მომსახურება. (წარმოდგენილ უნდა იქნას დამადასტურებელი დოკუმენტაცია – ხელშეკრულებ(ები)ა, ამ ხელშეკრულებ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (მიღება-ჩაბარების აქტი ან სხვა).

შენიშვნა: შემსყიდველი უფლებამოსილია, ინფორმაციისათვის მიმართოს პრეტენდენტის იმ დამკვეთებს, რომლებთან გაფორმებულ დოკუმენტებსაც წარმოადგენს პრეტენდენტი გამოცდილების დასტურად.

2.2.3 საუკეთესო საკონკურსო წინადადებისა და გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტერიტორიის განვითარების ხედვისა და არანაკლებ 3 მნიშვნელოვან მონაკვეთზე (იხ. საკონკურსო დოკუმენტაციასთან ერთად ატვირთულ ორთოფოტოზე მონიშნული საპროექტო არეალები, რომლებზეც საკონკურსო ტექნიკურ დოკუმენტაციაში წარმოსადგენია ვიზუალიზაცია (რენდერები ან ხელით შესრულებით)) შესრულებული ესკიზური პროექტის და პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების მონაცემების საფუძველზე:

1) საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ გრაფიკულ და ტექსტურ მასალას:
- ტერიტორიის განვითარების ხედვა განმარტებითი ბარათის სახით (ტექსტური ფორმით);
- საპროექტო გენ-გემა 1:1000 მასშტაბით (ესკიზურ დონეზე ფუნქციური ზონირებით);
- საპროექტო ტერიტორიის ვიზუალიზაცია არანაკლებ 3 სივრცისთვის (იხ. საკონკურსო დოკუმენტაციასთან ერთად ატვირთულ ორთოფოტოზე მონიშნული საპროექტო არეალები, რომლებზეც საკონკურსო ტექნიკურ დოკუმენტაციაში წარმოსადგენია ვიზუალიზაცია (რენდერები ან ხელით შესრულებით)), არანაკლებ 6 ც. (თითოეული სივრცისთვის არანაკლებ 2 ც. სხვადასხვა რაკურსით).

2) წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ დანართი N1–ის შესაბამისად.
3) წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია პერსონალის გამოცდილების შესახებ დანართი N2–ის შესაბამისად.

2.2.4 საუკეთესო საკონკურსო წინადადების გამოვლენისათვის დადგენილი ხარისხის შეფასების კოეფიციენტები

#	შეფასების კრიტერიუმები	კოეფიციენტი	კრიტერიუმის ტიპი
1	**ტერიტორიის განვითარების ხედვა და ესკიზური პროექტი** (განმარტებითი ბარათი ტექსტური ფორმით, საპროექტო გენ-გემა 1:1000 მასშტაბით (ესკიზურ დონეზე ფუნქციური ზონირებით), საპროექტო ტერიტორიის ვიზუალიზაცია არანაკლებ 3 სივრცისთვის)	**0,8**	არათვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება საკონკურსო კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების მაღალ საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს;
2	**პერსონალის გამოცდილება** პერსონალს უნდა გააჩნდეს ანალოგიური/მსგავსი მომსახურების გამოცდილება, კერძოდ, ანალოგიური სირთულისა და მოცულობის ობიექტებზე თავიანთი სპეციალიზაციის შესაბამისი ნაწილის პროექტირების გამოცდილება. პერსონალის გამოცდილების დასადასტურებლად წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული მათგანის რეზიუმე - ე.წ. CV, სადაც მოცემული იქნება ინფორმაცია პერსონალის გამოცდილების შინაარსზე (ანუ არამხოლოდ სამუშაო ადგილის ან პროექტის და თანამდებობის დასახელება, არამედ ამ პერსონალის მიერ გაწეული სამუშაოს მოკლე აღწერა), ასევე შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომი;	**0,2**	არათვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება საკონკურსო კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების მაღალ საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს;

არათვლადი კრიტერიუმების შეფასებისას კომისიის ყოველი წევრი ცალ–ცალკე აფასებს კრიტერიუმს 0-10 ქულიან დიაპაზონში, ხოლო საბოლოო შეფასება განისაზღვრება კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლით.

2.3 მომსახურების გაწევის პირობები და ვადები:

2.3.1 საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღე (ექსპერტიზის მომსახურების ვადის ჩათვლით).

2.3.2 პირველ ეტაპზე მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით წარმოადგინოს შემსყიდველს ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული კვლევა-ძიების შედეგები და კონცეპტუალური დიზაინი. დოკუმენტაციის წარმოდგენის ფორმატი: ტექსტური ნაწილები, რენდერი მინ. 12ც., ნაბეჭდი A3 ფორმატით ფერადი 2 (ორი) ეგზემპლარად, ელექტრონულად PDF ფაილით. შემსყიდველი წარმოდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს 5 სამუშაო დღეში და წარუდგენს შემსრულებელს. ხარვეზების ან/და შენიშვნების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული გაითვალისწინოს მეორე ეტაპის დოკუმენტაციის წარმოდგენისას.

2.3.3 მეორე ეტაპზე მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 55 (ორმოცდათხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტირებისა და ესკიზური დენდროლოგიური პროექტის შესაბამისი დოკუმენტაცია. ტექნიკური დავალების მეორე ეტაპით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენის ფორმატი: (რენდერი მინ. 12ც.) ნაბეჭდი A3 ფორმატით ფერადი 2 (ორი) ეგზემპლარად, ელექტრონულად PDF ფაილით. შემსყიდველი წარმოდგენილ ესკიზურ პროექტს, რენდერები (რენდერი მინ. 12ც.) განიხილავს წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღეში. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ შეტანილი შესწორებების შემდეგ, დაკორექტირებული დოკუმენტების მიწოდება უზრუნველყოს 3 (სამი) სამუშაო დღეში;

მიმწოდებელმა წინასწარი ანგარიშსწორების განხორციელებამდე უნდა წარმოადგინოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსგან ესკიზური პროექტის (საპროექტო ობიექტის განვითარების არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტის ამსახველი გრაფიკული მასალის) შეთანხმების ამსახველი დოკუმენტი.

2.3.4 მესამე ეტაპზე, მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარულ დღეში უნდა წარმოადგინოს ტექნიკური დავალების მესამე ეტაპით განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაცია (ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად), შესწორებულ (არსებობის შემთხვევაში) საპროექტო სრულყოფილ

დოკუმენტაციასთან ერთად, ნაბეჭდი სახით 2 (ორი) ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიის სახით (ნახაზები DWG და PDF ფორმატში, ხარჯთაღრიცხვა Excel-ის ფორმატში) 2 (ორი) ეგზემპლარად.
2.3.5 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მის მიერ შესრულებული პროექტის შესაბამისად წარმოებული სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საავტორო ზედამხედველობის ღონისძიებები და საჭიროების შემთხვევაში დამკვეთთან შეთანხმებით პროექტში შეიტანოს კორექტირებები.
2.3.6 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
2.3.7 სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგი, მიიღოს მონაწილეობა საპროექტო გადაწყვეტათა დაზუსტებაში, საჭიროების შემთხვევაში მუშა დოკუმენტაციის, სამშენებლო მოცულობების და კონტრაქტის სხვა შესაბამისი ცვლილებების მომზადება-შეთანხმებაში, ასევე ტექნიკური დავალების დანართით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში.
2.3.8 პროექტში უნდა იყოს გათვალისწინებული შშმ პირთა გადაადგილებისათვის აუცილებელი პანდუსები შეღწევადი და ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად.
2.3.9 საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური.

2.4 ანგარიშსწორების პირობები
2.4.1 სავალდებულო წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) გამოყენება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებით განსაზღვრული მეორე ეტაპით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსგან ესკიზური პროექტის (საპროექტო ობიექტის განვითარების არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტის ამსახველი გრაფიკული მასალის) შეთანხმების ამსახველი დოკუმენტის და საავანსო თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში (რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს გასაწევი მომსახურების დასრულების ვადას) ხელშეკრულების საერთო ღირებულების 70%-ის ოდენობით. მიმწოდებელმა ავანსის თანხები უნდა გამოიყენოს მხოლოდ ამ შესყიდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად. აღნიშნული გარანტია წარმოდგენილ უნდა იქნას არაუგვიანეს 2018 წლის 25 დეკემბრისა.
2.4.2 წინასწარი გადახდის თანხების (ავანსი) დაკავება განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 4 სექტემბრის №508 ბრძანების შესაბამისად - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებებიდან ფაქტობრივი ხარჯების გაწევამდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარ გადახდილი სახსრების დამოწმების შესახებ“.
2.4.3 უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

2.5 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია
2.5.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე - საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის (სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით დაფიქსირებული საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში - 10%) ოდენობით, დანართი N3-ის მიხედვით.
2.5.2 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დასრულების ვადას.
2.5.3 მიმწოდებელს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
2.5.4 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.
შენიშვნა: უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

2.6 შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას საერთო სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზის დასკვნა გაცემული სსიპ ლევანს სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან პროექტის შეთანხმების ამსახველი დოკუმენტი.

2.7 საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოგენილ, უცხო ქვეყანაში შედგენილ დოკუმენტზე ხელმოწერები და ხელმომწერი პირების უფლებამოსილება დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიუსის ან შესაბამისი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ, ხოლო ამ უკანასკნელის ხელმოწერა - ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული.

2.8 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთია:

1. ტერიტორიის განვითარების ხედვა განმარტებითი ბარათის სახით (ტექსტური ფორმით);
2. საპროექტო გენ-გემა 1:1000 მასშტაბით (ესკიზურ დონეზე ფუნქციური ზონირებით);
3. საპროექტო ტერიტორიის ვიზუალიზაცია არანაკლებ 3 სივრცისთვის (იხ. საკონკურსო დოკუმენტაციასთან ერთად ატვირთულ ორთოფოტოზე მონიშნული საპროექტო არეალები, რომლებზეც საკონკურსო ტექნიკურ დოკუმენტაციაში წარმოსადგენია ვიზუალიზაცია (რენდერები ან ხელით შესრულებით)), არანაკლებ 6 ც. (თითოეული სივრცისთვის არანაკლებ 2 ც. სხვადსხვა რაკურსით).
4. ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ დანართი N1–ის შესაბამისად.
5. ინფორმაცია პერსონალის გამოცდილების შესახებ (CV, შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომ(ებ)ი).

შენიშვნა: ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის შემდეგ, პრეტენდენტმა სისტემის შესაბამის ველში უნდა მიუთითოს საკონკურსო წინადადების ფასი დღგ-ის გარეშე, საკონკურსო წინადადების ფასს პრეტენდენტი უთითებს მხოლოდ სისტემის შესაბამის ველში. დაუშვებელია ტექნიკურ დოკუმენტაციაში საკონკურსო წინადადების ფასის მითითება. პრეტენდენტი, რომელიც ტექნიკურ დოკუმენტაციაში მიუთითებს საკონკურსო წინადადების ფასს, ექვემდებარება დისკვალიფიკაციას. პრეტენდენტს არ მოეთხოვება საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშების წარდგენა.

3. ხელშეკრულება ***პროექტი***

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენთთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი **თარიღი**

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მერია (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი ---- სახით და მეორეს მხრივ ----- ("შემდგომში მიმწოდებელი"), წარმოდგენილი ---- სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: ქ. თბილისში, ვაკის პარკის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, რომლის პირობებიც განსაზღვრულია ტექნიკური დავალებით, რომელიც დანართის სახით თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

2.2 შესყიდვის საშუალება - კონკური.

2.3 საკონკურსო განცხადების ნომერი ----------

2.4 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---------- ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.5 კლასიფიკატორის კოდი: 71320000 - საინჟინრო - საპროექტო მომსახურება

2.6 ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და ძალაშია ---------- ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

3.1 საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღე (ექსპერტიზის მომსახურების ვადის ჩათვლით).

3.2 პირველ ეტაპზე მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით წარმოადგინოს შემსყიდველს ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული კვლევა-ძიების შედეგები და კონცეპტუალური დიზაინი. დოკუმენტაციის წარმოდგენის ფორმატი: ტექსტური ნაწილები, რენდერი მინ. 12ც., ნაბეჭდი A3 ფორმატით ფერადი 2 (ორი) ეგზემპლარად, ელექტრონულად PDF ფაილით.

3.3 შემსყიდველი წარმოდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს 5 სამუშაო დღეში და წარუდგენს შემსრულებელს. ხარვეზების ან/და შენიშვნების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული გაითვალისწინოს მეორე ეტაპის დოკუმენტაციის წარმოდგენისას.

3.4 მეორე ეტაპზე მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 55 (ორმოცდათხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტირებისა და ესკიზური დენდროლოგიური პროექტის შესაბამისი დოკუმენტაცია. ტექნიკური დავალების მეორე ეტაპით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენის ფორმატი: (რენდერი მინ. 12ც.) ნაბეჭდი A3 ფორმატით ფერადი 2 (ორი) ეგზემპლარად, ელექტრონულად PDF ფაილით.

3.5 შემსყიდველი წარმოდგენილ ესკიზურ პროექტს, რენდერები (რენდერი მინ. 12ც.) განიხილავს წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღეში. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ შეტანილი შესწორებების შემდეგ, დაკორექტირებული დოკუმენტების მიწოდება უზრუნველყოს 3 (სამი) სამუშაო დღეში.

3.6 მიმწოდებელმა წინასწარი ანგარიშსწორების განხორციელებამდე უნდა წარმოადგინოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსგან ესკიზური პროექტის (საპროექტო ობიექტის განვითარების არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტის ამსახველი გრაფიკული მასალის) შეთანხმების ამსახველი დოკუმენტი.

3.7 მესამე ეტაპზე, მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარულ დღეში უნდა წარმოადგინოს ტექნიკური დავალების მესამე ეტაპით განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაცია (ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად), შესწორებულ (არსებობის შემთხვევაში) საპროექტო სრულყოფილ დოკუმენტაციასთან ერთად, ნაბეჭდი სახით 2 (ორი) ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიის სახით (ნახაზები DWG და PDF ფორმატში, ხარჯთაღრიცხვა Excel-ის ფორმატში) 2 (ორი) ეგზემპლარად.

3.8 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მის მიერ შესრულებული პროექტის შესაბამისად წარმოებული სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საავტორო ზედამხედველობის ღონისძიებები და საჭიროების შემთხვევაში დამკვეთთან შეთანხმებით პროექტში შეიტანოს კორექტირებები.

3.9 სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგი, მიიღოს მონაწილეობა საპროექტო გადაწყვეტათა დაზუსტებაში,

საჭიროების შემთხვევაში მუშა დოკუმენტაციის, სამშენებლო მოცულობების და კონტრაქტის სხვა შესაბამისი ცვლილებების მომზადება-შეთანხმებაში, ასევე ტექნიკური დავალების დანართით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში.
3.10 პროექტში უნდა იყოს გათვალისწინებული შშმ პირთა გადაადგილებისათვის აუცილებელი პანდუსები შეღწევადი და ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად.
3.11 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
3.12 პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების დანართის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3.13 ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა უნდა განხორციელდეს კონკურსში პერსონალის გამოცდილების დასადასტურებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციით განსაზღვრული პირ(ებ)ის მიერ ან შემსყიდველთან შეთანხმებული სხვა პირ(ებ)ის მიერ.
3.14 საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური.

4. გასაწევი მომსახურების ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
4.2 შემსყიდველი ვალდებულია აცნობოს მიმწოდებელს საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია შენიშვნის გაცნობიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას საპროექტო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი წუნი.
4.3 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.
5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები ან/და სამსახურის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ საბოლოო მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.2 საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან პროექტის შეთანხმების ამსახველი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში და სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, რომელიც გაცემულ უნდა იქნას სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ.
6.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით განსაზღვრული პირ(ებ)ი.
6.4 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
6.5 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება 2018-2019 წლების ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით (2018 წ. – 70%, 2019 წ. – 30%), ეტაპობრივად, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
7.3 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-14 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინების მიღებიდან 7.2 პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშსწორებამდე მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა დაუქვითოს მიმწოდებელს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.
7.4 სავალდებულო წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) გამოყენება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებით განსაზღვრული მეორე ეტაპით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსგან ესკიზური პროექტის (საპროექტო ობიექტის განვითარების არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტის ამსახველი გრაფიკული მასალის) შეთანხმების ამსახველი დოკუმენტის და საავანსო თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში (რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს გასაწევი მომსახურების დასრულების ვადას) ხელშეკრულების საერთო ღირებულების 70%-ის ოდენობით. მიმწოდებელმა ავანსის თანხები უნდა გამოიყენოს მხოლოდ ამ შესყიდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად. აღნიშნული გარანტია წარმოდგენილ უნდა იქნას არაუგვიანეს 2018 წლის 25 დეკემბრისა.
7.5 წინასწარი გადახდის თანხების (ავანსი) დაკავება განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 4 სექტემბრის №508 ბრძანების შესაბამისად - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებებიდან ფაქტობრივი ხარჯების გაწევამდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარ გადახდილი სახსრების დამოწმების შესახებ“.
7.6 უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე - საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის (სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით დაფიქსირებული საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში - 10%) ოდენობით.
8.2 მიმწოდებელს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
8.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. შენიშვნა: უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
9.2 ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
9.3 ხელშეკრულების 3.2, 3.4, 3.5 ან 4.2 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო სანქცია ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;
9.4 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჩამოერთმევა სრულად შემსყიდველის სასარგებლოდ.

9.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას ამ ხელშეკრულების მე-14 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
9.6 ხელშეკრულების 7.2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,02 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
9.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
10.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.
10.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
10.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) ხელშეკრულების 3.1 ან 3.2 ან 3.4 ან 3.5 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული ვადის 10 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორსმაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.
11.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
11.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
12.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა

დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ღირებულება

13.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.
12.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
13.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.
13.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
14.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:
ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი ---------- საკონტაქტო პირი: ბ/ქ-ნ ----------, ელექტრონული ფოსტა: ----------; ფაქსი (არსებობის შემთხვევაში): ------;
ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი ---------- საკონტაქტო პირი: ბ/ქ-ნ ----------.
14.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.
14.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.
15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.
15.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.
15.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
15.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
16.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

17. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

---------- ----------

დანართი N1

მონაცემები პრეტენდენტის მიერ განხორციელებული ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ

N	მომსახურების დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი
1. 2. 3.				

ხელმოწერა ———————————————ბ.ა

შენიშვნა:

- პრეტენდენტს 2015 წლის 01 იანვრიდან უნდა გააჩნდეს არანაკლებ 300 000 ლარის ღირებულების საერთო სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების და სივრცითი დაგეგმარების მომსახურების, მათ შორის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პროექტირების გამოცდილება, რომელიც ინფორმაციის სახით მოცემული უნდა იყოს დანართი N1–ით გათვალისწინებულ ცხრილში (წარმოდგენილ უნდა იქნას დამადასტურებელი დოკუმენტაცია – ხელშეკრულებ(ები)ა, ამ ხელშეკრულებ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (მიღება-ჩაბარების აქტი ან სხვა). პრეტენდენტის მიერ მოთხოვნის შესაბამისად ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საპროექტო მომსახურების გამოცდილების დასადასტურებლად წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს საპროექტო ობიექტის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, გაცემული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ (საპროექტო ობიექტის უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარეობის შემთხვევაში, შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი). აგრეთვე, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს იმ დამკვეთ(ებ)ის მიერ გაცემული არანაკლებ 2 პროექტის სარეკომენდაციო წერილ(ებ)ი შესრულებული პროექტების დამადასტურებელ ვიზუალურ მასალასთან ერთად, რომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით და შესაბამისი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციით (მოთხოვნის შესაბამისად გამოცდილების დასადასტურებლად წარმოდგენილი) დასტურდება ზემოთაღნიშნული გაწეული მომსახურების გამოცდილება.
- პრეტენდენტს 2015-2017 წლების განმავლობაში უნდა გააჩნდეს უწყვეტი გამოცდილება პროექტირების სფეროში. უწყვეტი გამოცდილება გულისხმობს იმას, რომ კონკურსანტს ამ პერიოდის ყველა წელს უნდა ჰქონდეს განხორციელებული საპროექტო მომსახურება. (წარმოდგენილ უნდა იქნას დამადასტურებელი დოკუმენტაცია – ხელშეკრულებ(ები)ა, ამ ხელშეკრულებ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (მიღება-ჩაბარების აქტი ან სხვა).

შემსყიდველი უფლებამოსილია, ინფორმაციისათვის მიმართოს პრეტენდენტის იმ დამკვეთებს, რომლებთან გაფორმებულ დოკუმენტებსაც წარმოადგენს პრეტენდენტი გამოცდილების დასტურად.

დანართი N2

ინფორმაცია პერსონალის გამოცდილების შესახებ

პერსონალს უნდა ჰქონდეს ანალოგიური/მსგავსი მომსახურების გამოცდილება, კერძოდ, ანალოგიური სირთულისა და მოცულობის ობიექტებზე თავიანთი სპეციალიზაციის შესაბამისი ნაწილის პროექტირების გამოცდილება. პერსონალის გამოცდილების დასადასტურებლად წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული მათგანის რეზიუმე - ე.წ. CV, სადაც მოცემული იქნება ინფორმაცია პერსონალის გამოცდილების შინაარსზე (ანუ არამხოლოდ სამუშაო ადგილის ან პროექტის და თანამდებობის დასახელება, არამედ ამ პერსონალის მიერ გაწეული სამუშაოს მოკლე აღწერა), ასევე შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომი.

შემსყიდველი უფლებამოსილია ინფორმაციისათვის მიმართოს პერსონალის არსებულ თუ ყოფილ დამკვეთებს/ დამსაქმებლებს.

საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა უნდა განხორციელდეს კონკურსში პერსონალის გამოცდილების დასადასტურებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციით განსაზღვრული პირ(ებ)ის მიერ ან შემსყიდველთან შეთანხმებული სხვა პირ(ებ)ის მიერ.

დანართი N3

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)

ვის:_____
(შემსყიდველის დასახელება)
მხედველობაში ვიღებთ რა, რომ

_____
(მიმწოდებლის დასახელება)
შემდგომში „მიმწოდებელმა“_____ კონკურსში წარდგენილი თავისი
(კონკურსის დასახელება)
საკონკურსო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია. ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

_____
(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით (ლარი))
და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.
წინამდებარე გარანტია ძალაშია ———————

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი
_____
_____

_____
(თარიღი)

_____
(მისამართი)